WOMEN'S ISSUE IN THE DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA

ქალთა საკითხი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში[1]

SALOME TCHANTURIDZE
PhD student of history
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Chavchavadze avenue 1, Tbilisi, Georgia
ORCID: 0009-0003-0790-7625
Salome.tchanturidze@tsu.ge
+995598689464

Abstract

One of the main progressive features of the political system of the Democratic Republic of Georgia is the introduction of mechanisms for protecting the equality of citizens of both sexes, which was recognized primarily at the political arena. Immediately after the declaration of independence, female politicians were actively involved in the political activities of the Democratic Republic of Georgia. This is evidenced by the participation of women in the self-government and constituent assembly elections.

In addition to women members of representative-legislative or self-governing bodies, independent female activists, female professors or spouses of politicians engaged in active social and political activities. They opened reading rooms, organized evenings. They were actively involved in the defense of the republic; they organized the activities of the auxiliary committees of the front.

In addition to politically active women, many women appear in the theatre and music sphere of the Republican period. Cultural-educational and charity evenings are held. At that time, it was still very difficult for women to appear on the stage, because the main duty of a woman was only to take care of the family. Despite the opposition in the society, many women from the period of the Democratic Republic of Georgia begin to "step into the centre of attention". Georgian-language operas, the first Georgian ballet are staged with their participation; During this period, the first Georgian feature film "Kristine" and others were made.

The occupation of Georgia by Bolshevik Russia stopped the development of the country in a western way and many things were forgotten due to Soviet repressions. That is why there are few reports about the women who worked a century ago, who broke the clichés and came out on a wide stage.

Key words: Democratic Republic of Georgia; politics; cultural life; women.

[1]კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (FR – 21- 13590)

სალომე ჭანტურიძე
ისტორიის დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის #1
ORCID 0009-0003-0790-7625
Salome.tchanturidze@tsu.ge
+995598689464

აბსტრაქტი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთ მთავარ პროგრესულ მახასიათებლად მიიჩნევა ორივე სქესის მოქალაქეთა თანაბარუფლებიანობის დაცვის მექანიზმების შემოღება, რომელიც უპირველესად პოლიტიკურ ასპარეზზე იყო აღიარებული. დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ საქმიანობაში ქალი პოლიტიკოსები აქტიურად ჩაერთვნენ. ამას მოწმობს ქალთა მონაწილეობა თვითმმართველობისა და დამფუძნებელი კრების არჩევნებში.

გარდა წარმომადგენლობით-საკანონმდებლო თუ თვითმმართველობის ორგანოების წევრი ქალებისა, დამოუკიდებელი ქალი აქტივისტები, ქალი პროფესორები თუ პოლიტიკოსთა მეუღლეები, აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობას ეწეოდნენ. ხსნიდნენ სამკითხველო დარბაზებს, აწყობდნენ საღამოებს. აქტიურად იყვნენ ჩართულნი რესპუბლიკის დაცვის საქმეში, ორგანიზებას უწევდნენ ფრონტის დამხმარე კომიტეტების საქმიანობას.

პოლიტიკურად აქტიური ქალების გვერდით, რესპუბლიკის პერიოდის თეატრალურ თუ მუსიკალურ სივრცეში არაერთი ქალი ჩნდება. იმართება კულტურულ-საგანმანათლებლო თუ საქველმოქმედო საღამოები. იმ პერიოდში ჯერ კიდევ დიდ სირთულეს წარმოადგენდა სცენაზე ქალების გამოჩენა, რადგან ქალის ძირითად მოვალეობად მხოლოდ ოჯახის მოვლა იყო მიჩნეული. მიუხედავად საზოგადოებაში არსებული წინააღმდეგობისა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდიდან არაერთი ქალი იწყებს „დღის სინათლეზე გამოსვლას“. მათი მონაწილეობით იდგმება ქართულენოვანი ოპერები, პირველი ქართული ბალეტი; ამ პერიოდშია გადაღებული პირველი ქართული მხატვრული ფილმი „ქრისტინე“ და სხვა.

ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციამ შეაჩერა ქვეყნის დასავლური გზით განვითარება და ბევრი რამ საბჭოთა რეპრესიების გამო დავიწყებას მიეცა. სწორედ ამიტომ შემოგვრჩა მწირი ცნობები საუკუნის წინათ მოღვაწე ქალებზე, რომლებმაც დაამსხვრიეს კლიშეები და ფართო ასპარეზზე გამოვიდნენ.

საკვანძო სიტყვები:
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა; პოლიტიკა; კულტურული ცხოვრება; ქალები.

შესავალი

სტატიაში განხილულია ქალთა საკითხის მდგომარეობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაში. უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში, აღნიშნული თემისადმი და ზოგადად, დემოკრატიული რესპუბლიკისადმი ინტერესი გაიზარდა. მაშინდელ

პოლიტიკურ, სოციალურ თუ კულტურულ ყოფაში მამაკაცთა გვერდით, ქალებიც აქტიურად მონაწილეობდნენ, ეს ფაქტი, მსოფლიოშიც განსაკუთრებული მოვლენას წარმოადგენდა და დიდი ინტერესს იწვევდა. წლების შემდეგ, მოვლენების თანამედროვე ვითარებიდან გაცნობა და წარსული გამოცდილების გაანალიზება თანამედროვე სახელმწიფოს მშენებლობისათვის მნიშვნელოვანია.

2022 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა გაიმარჯვა შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ ფუნდამენტური კვლევების კონკურსში, პროექტით „საქართველოს პირველი რესპუბლიკა“ (FR – 21- 13590). პროექტის ფარგლებში საშუალება მოგვეცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სიღრმისეულად გვეკვლია. ეს კონკრეტული წერილი კი წარმოადგენს ერთ-ერთ თავს აღნიშნული მასალებიდან და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაში ქალთა უფლებრივ მდგომარეობას და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი ჩართულობის შესწავლას ეძღვნება.

სტატიაში მოცემულია ცდა, სხვადასხვა პერსპექტივიდან, დიფერენცირებულად გაშუქდეს ქართველი ქალების მოღვაწეობა, წარმოჩენილია მათი საქმიანობა და იდეოლოგიური მრწამსი.

ნაშრომი დაწერილია ძირითადად პირველწყაროების მიხედვით, გამოყენებულია საარქივო დოკუმენტები და პრესის მასალები, მემუარული ლიტერატურა და თემასთან დაკავშრებული სამეცნიერო პუბლიკაციები.

მეთოდები

კვლევა ეფუძნება ისტორიულ-შედარებით, რეტროსპექტულ და შინაარსობრივი ანალიზის მეთოდს, აგრეთვე, ემპირიული მასალის კრიტიკულ გააზრებასა და განზოგადებას, საკითხის სხვადასხვა რაკურსით წარმოჩენას.

შედეგი

სტატიაში წარმოჩენილია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს ქალთა მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებასა და პოლიტიკურ პროცესში. განხილულია ორი არჩევნების: თვითმმართველობისა და საერობოს შედეგები.

კვლევამ ცხადყო, რომ მიუხედავად რაოდენობრივი სიმცირისა, ქალების მონაწილეობითა და ინიციატივით არაერთი აქტივობა განხორციელდა. მათი ჩართულობა სახელმწიფოს მშენებლობაში იყო ოფიციალური, საქმიანი და არ ჰქონდა ფორმალური ხასიათი. ჩვენამდე მოღწეული დამფუძნებელი კრების ოქმებითა და სტენოგრაფიული ჩანაწერებით შეიძლება ითქვას, რომ ქალთა ინიციატივით არაერთი საკანონმდებლო წინადადება შეიმუშავეს, მათ შორის სახელმწიფოს დაფინანსებით ქართველი სტუდენტების საზღვარგარეთ სასწავლებლად გაგზავნა და სხვ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გატარებული რეფორმები ინტერესსა და მოწონებას იწვევდა მსოფლიო საზოგადოებაში. 1920 წელს ევროპელ სოციალისტთა ვიზიტის დროს, საქართველოს სტუმრებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ქალების მონაწილეობა სახელმწიფოსა და დემოკრატიული პროცესების მშენებლობაში. ყველა ერათხმად აღიარებდა და გაოცებას გამოთქვამდა ქალთა აქტივიზმით. ამ ყველაფერს კი ახალგაზრდა ქართულ სახელმწიფოში დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებით ხსნიდნენ.

დისკუსია

1917 წლის თებერვლის რევოლუციისა და ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, რუსეთის იმპერიაში შემავალ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, პოლიტიკური ვითარების გარდაქმნის პროცესები დაიწყო. იმპერიული ცენზურა მოქალაქეებს არაერთ შეზღუდვას უწესებდა, თუმცა, ამ სისტემის რღვევამ ახალი თანასწორუფლებიანი სახელმწიფოებისა და ინსტიტუტების ჩამოყალიბებას მისცა დასაბამი. კლასთა შორის დაპირისპირებულ, უფლებაწართმეულ, ჩაგრულ ადამიანებს, სამოქალაქო-პოლიტიკური აქტიურობისა და თანამონაწილეობის შესაძლებლობა მიეცათ. რევოლუციურმა ცვლილებებმა, მრავალი აქტუალური პრობლემის დისკურსში, ქალთა პოლიტიკაში ჩართულობის საკითხიც წინ წამოწია.

რუსეთის იმპერიაში ქალებს მხოლოდ ფორმალურად ჰქონდათ საარჩევნო პროცესებში მონაწილეობის უფლება; ეს ბუნებრივიც იყო მათი ქონებრივი შესაძლებლობისა და საპასპორტო შეზღუდვის პირობებში. სწორედ ამიტომ, მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში, რუსული ფემინიზმის აქცენტი არისტოკრატიიდან გლეხებსა და მუშათა კლასზე გადავიდა. სოციალისტური იდეოლოგიით გამსჭვალულმა ქალებმა გაერთიანებების ორგანიზება დაიწყეს.

1907-1917 წლებში რუსეთის იმპერიაში ქალთა თანაბარი უფლებების ლიგა (რუს. Всероссийская лига равноправия женщин) ყველაზე მნიშვნელოვან ფემინისტურ ორგანიზაციას წარმოადგენდა. მისი წევრი ქალები ძირითადად საქველმოქმედო საქმიანობით იყვნენ დაკავებულნი, მუშაობდნენ განათლების საკითხებზე, ეწეოდნენ თვითორგანიზებას. ასევე აყენებდნენ თანაბარი უფლებების პოლიტიკური დღის წესრიგს. ლიგის წევრთა ბრძოლამ შედეგი გამოიღო, მემკვიდრეობის უფლებები გაათანაბრა და საპასპორტო შეზღუდვები გააუქმა. 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ და ქალთა საერთაშორისო დღის აღნიშვნამ ლიგა გააძლიერა. 1917 წლის 20 მარტს 40 000-იანმა ქალთა საპროტესტო მოძრაობამ შედეგი გამოიღო და ორი დღის შემდეგ, ქალებმა რუსეთის დროებითი მთავრობის მეთაურის, თავად გეორგი ლვოვისგან „ხმის უფლება“ მიიღეს. კანონი კი 1917 წლის 20 ივლისს შევიდა ძალაში.

ქართველი ქალები, როგორც ისტორიული ფაქტებიდან და წყაროებიდან იკვეთება, ნაკლებად განიცდიდნენ სქესთა შორის წნეხს. მეტიც, სახელმწიფოს მშენებლობაშიც აქტიურად მონაწილეობდნენ. ქვეყნის დაშლა სამეფო-სამთავროებად და რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია, ცხადია, უარყოფითად აისახა ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე. რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოქცეულ ადამიანებს ცენზურისა და აკრძალვების პირობებში უხდებოდათ ცხოვრება, ლუკმა-პურისათვის ბრძოლა და ეროვნული იდენტობის შენარჩუნება. ამ ყველაფრის დასამარცხლებლად და საქართველოს გასათავისუფლებლად, მამაკაცთა გვერდით, ქართველი ქალებიც იბრძოდნენ.

რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფმა საქართველომ ერთ-ერთი გამორჩეული ბრძოლა რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ 1800-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო. ბრძოლის იარაღად საგანმანათლებლო სივრცეების გახსნა და ქართულ ენაზე სწავლება აირჩიეს. ამ მიზნით, 1879 წელს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ ჩამოყალიბდა, რომლის გამგეობის წევრი 1880 წლიდან ეკატერინე თარხნიშვილი-გაბაშვილიც გახლდათ. ორგანიზაციის წევრის სტატუსი კი ანასტასია

წერეთელს, კეკე მესხს, ნინო ორბელიანს, ანასტასია ერისთავს, დესპინე გელოვანს ჰქონდათ. 1918 წლისთვის საზოგადოების 58 განყოფილება მუშაობდა, რომელთაგან ცხრაში ხელმძღვანელ პოზიციას ქალები იკავებდნენ. ამავე წელს, გამგეობის 13 წევრს შორის ორი ქალი: ნინო ნაკაშიძე და ქრისტინე შარაშიძე შედიოდნენ. 1921 წლისთვის გამგეობის წევრთა რიცხვი 7-მდე შემცირდა, თუმცა, ნინო ნაკაშიძე ანა სოლოღაშვილთან ერთად აგრძელებდა მუშაობას.

მე-19 საუკუნეში მცხოვრები ქალები, საქართველოში, ძირითადად, საჯარო სივრცეებში დასამკვიდრებლად, დედობის უფლებების, შვილის აღზრდის, ქალების განათლების მიღებისათვის და რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ერთიანდებოდნენ. სწორედ ამას მოწმობს იმდროინდელ პრესაში გამოქვეყნებული მათი არაერთი წერილი თუ პუბლიკაცია.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქართველ ქალებს მსოფლიოში მიმდინარე ფემინისტურ მოძრაობებსა და ემანსიპაციაზე ინფორმაცია არა მხოლოდ რუსეთის იმპერიიდან, არამედ პირდაპირ დასავლური საზოგადოებისგან ჰქონდათ. მე-19 საუკუნიდან არაერთი ქართველი ქალი ევროპის ცნობილ უნივერსიტეტებში იღებდა განათლებას.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან, მსოფლიოში ქალთა თანასწორი უფლებების მოთხოვნით პოლიტიკურ სფეროში გამოირჩეოდა აშშ და დიდი ბრიტანეთი. ეს ორი სახელმწიფო, განსაკუთრებით კი დიდი ბრიტანეთი, გახდა მაგალითი სხვა სახელმწიფოებისთვის.

1851 წელს დიდ ბრიტანეთში ქალთა პირველი სუფრაჟისტული გაერთიანება „ხმის უფლების მინიჭების შეფილდის ასოციაცია“ შეიქმნა. მოგვიანებით, 1867 წელს დაარსდა „ქალთა საარჩევნო უფლების საზოგადოება“, რომელიც დიდი პროპაგანდის მატარებელი იყო და უშვებდა ჟურნალს სახელწოდებით „ქალთა სუფრაჟისტული ჟურნალი“. ეს საზოგადოება მალევე გადაიქცა „სუფრაჟისტული ორგანიზაციების ეროვნულ ფედერაციად“, რომელშიც გაწევრიანებული იყო ათასობით ქალი.

რადიკალური მიდგომების გარდა, ქალთა პოლიტიკური ემანსიპაციის მხარდასაჭერად და აგიტაციისათვის, ქალთა სოციალურ-პოლიტიკურმა კავშირმა დააარსა სუფრაჟისტული გაზეთები. გაზეთები – „უფლება ხმისა ქალებისთვის“ და „სუფრაჟისტკა“ დიდი ტირაჟით იყიდებოდა ქუჩებში.

საქართველოში მე-20 საუკუნის 10-იანი წლებიდან კი ქალთა საკითხთან დაკავშირებული პრობლემების საილუსტრაციოდ დაიწყო ბეჭდვა გაზეთისა „ხმა ქართველი ქალისა“. მასში ქალთა პოლიტიკურ ემანსიპაციაზე აქტიურად საუბრობდნენ.

„ხმა ქართველი ქალისა“ იბეჭდებოდა ქუთაისში, მისი დამფუძნებელი და რედაქტორი იყო ეკატერინე, კატო მიქელაძე, რომელიც ევროპული განათლებისა და ცხოვრების დროს მიღებული გამოცდილების საფუძველზე ცდილობდა ქალისა და მამაკაცის თანასწორობის დანერგვას, როგორც პოლიტიკურ, ისე სოციალურ ასპექტებში.

გაზეთის თითოეული ნომერი იწყებოდა შემდეგი ფრაზებით: „ქალებო მოითხოვეთ საარჩევნო ხმის უფლება“; „სრული პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლება ქალებს!“; „გაუმარჯოს საერთაშორისო ქალთა სოლიდარობას“; „ქალებო დააარსეთ სოფლათ ქალთა

კავშირები!"; „ქალებო, დაიცავით არჩევანთა ხმის უფლება!"; „ქალებო, ემზადეთ დამფუძნებელი კრებისთვის!"; „თანასწორობა სქესთა წინაშე კანონისა!" და სხვ.

პირველივე ნომერში, გაზეთი საზოგადოებას აცნობს თავის მსოფლმხედველობას: „ჩვენ ვიბრძვით ჩვენი ადამიანური პიროვნების აღდგენისათვის და ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისათვის" (გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა". (1917). #1). მიზნების მისაღწევად კი შემდეგი მოთხოვნები ჰქონდათ: ქალის პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლებების აღდგენა და ემანსიპაცია; ქალის სრულუფლებიანობა; ქალისა და მამაკაცის სწორუფლებიანობა არჩევნებსა და საკანონმდებლო კრებაზე; მამაკაცებისთვის მემკვიდრეობითი უპირატესობის გაუქმება; შვილებზე მშობლების თანასწორუფლებიანობა; ერთსა და იმავე სამსახურში თანასწორი ხელფასი ქალისა და მამაკაცისთვის; სისხლის სამართლის კანონმდებლობის სასჯელის გათანაბრება ორივე სქესისთვის; საგანმანათლებლო სფეროში გოგონებისთვის და ვაჟებისთვის თანაბარი დონის სწავლება და სხვ.

„ხმა ქართველი ქალისა"-ს გამომცემელთათვის ქალთა თავისუფლების იდეა, საქართველოს თავისუფლებასთან იყო დაკავშირებული: *„ვისაც სურს არ იყოს საქართველო დამონებული, დაჭირიანებული და გადაგვარებული, ვისაც სურს რომ არ იყოს არც სქესთა და არც კლასთა ბატონობა, და დაარსდეს რუსეთის სახელმწიფოში დემოკრატიული რესპუბლიკა ერთა და პიროვნებათა განმათავისუფლებელი, ჩაეწერეთ ქუთაისის ქალთა დემოკრატიულ პოლიტიკურ კლუბის წევრებათ, რომელიც მართავს ყოველკვირაობით კრებას ქალაქის სამკითხველოში"* (გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა". (1917). #4).

გაზეთიდან ქართველი მკითხველი რუსეთსა და ევროპაში მიმდინარე ქალებთან დაკავშირებულ საკითხებსაც ეცნობოდა. ფემინიზმთან დაკავშირებული თემების გარდა, გაზეთი ახალ ამბებს აშუქებდა, ბეჭდავდა თარგმანებსა და სხვადასხვა საინტერესო ისტორიას. მართლაც, მალე აღსრულდა ქართველი საზოგადოების ნატვრა და ქვეყანამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობას რამდენიმე თვით დაასწრო პირველი ქართული უნივერსიტეტის გახსნამ, რომლის იდეის განხორციელებას არაერთი ქალი გულშემატკივრობდა.

საქართველოსთვის უმაღლესი განათლების ცენტრის გახსნა ერთგვარი გარდამტეხიც აღმოჩნდა, რომელმაც ხელი შეუწყო ახალი ეპოქის დასაწყისს – დემოკრატიული რესპუბლიკის დაბადებას. დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზრუნავი კი სწორედ განათლების სისტემის ძირფესვიანი რეორგანიზაცია იყო, რომლის შექმნაში ქალები აქტიურად მონაწილეობდნენ. ამას მოწმობს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ჩანაწერები, ოქმების მიხედვითაც ცხადია, საკანონმდებლო ორგანოს ქალი წევრების: ქრისტინე შარაშიძის, ანა სოლოღაშვილის, ელისაბედ ნაკაშიძე-ბოლქვაძის მიერ წარდგენილი არაერთი ინიციატივის შესახებ.

პირველ ქართულ უნივერსიტეტთან ასოცირდება სამი ქალის: ელისაბედ ჯამბაკურ-ორბელიანის, ვანდა ჰოპე-ღამბაშიძისა და მედეა ღამბაშიძის სახელები. ელისაბედ ორბელიანი და ვანდა ჰოპე-ღამბაშიძე უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლები და პროფესორები გახლდნენ, ახალგახსნილ სასწავლებელში ერთი ფრანგულს, მეორე კი ინგლისურ ენას ასწავლიდა. ელისაბედ ორბელიანი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს სამ

გაზეთს რედაქტორობდა. იგი მსოფლიოს ფრანგულ და ინგლისურ ენებზე აწვდიდა ცნობებს საქართველოში არსებული რეალობის შესახებ. ვანდა ჰოპე-ღამბაშიძე კი პარალელურად საქართველოში „წითელი ჯვრის“ კომიტეტს მეთაურობდა.

მედეა ღამბაშიძე 1918 წელს ახლადგახსნილი თბილისის უნივერსიტეტის პირველი სტუდენტი იყო. პირველი სტუდენტური ბარათის მფლობელ ქალს უნივერსიტეტი არ დაუსრულებია. 1919 წელს, ინგლისური ენის შესასწავლად, ბიძასთან წავიდა ინგლისში. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის გამო კი ოჯახი ემიგრაციაში გაემგზავრა. სამწუხაროდ, მედეა ღამბაშიძე საქართველოში ვეღარ დაბრუნდა, როგორც მისი შვილი რევაზ ნიკოლაძე იხსენებს: უნივერსიტეტის 50 წლის იუბილეზე დასასწრებად დედა მიიპატიჟეს, თუმცა, საბჭოთა რეჟიმის გამო, მან ჩამოსვლა ვერ მოახერხა.

პრესის მასალებიდანვე ვიგებთ სტუდენტთა დასახმარებლად გამართული მეჯლისებისა თუ სხვადასხვა აქტივობების შესახებ, რომელსაც მთავრობის წევრთა მეუღლეები (ქ-ნი მ. რამიშვილისა, ო. გეგეჭკორისა, ო. სვანიშვილისა, ო. გომართელისა და სხვ. (გაზეთი „საქართველო“. (1921). #17), თუ უბრალოდ საზოგადოების აქტიური ქალი წევრები უძღვებოდნენ.

....

1918 წლის 26 მაისს, საქართველოს ეროვნული საბჭოს სახელით, ნოე ჟორდანიამ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გამოაცხადა და ქართველ ხალხს დამოუკიდებლობის აქტი გააცნო, რომელსაც ხელს 88 დელეგატს შორის ერთი ქალი – მინადორა ტოროშელიძეც აწერდა. აქტის მიღებით, საქართველომ განაახლა 117 წლის წინ წართმეული სუვერენული უფლებები და დამოუკიდებელი სახელმწიფო დემოკრატიული რესპუბლიკა შეიქმნა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთ მთავარ პროგრესულ მახასიათებლად მიიჩნევა ორივე სქესის მოქალაქეთა თანაბარუფლებიანობის დაცვის მექანიზმების შემოღება, რომელიც უპირველესად პოლიტიკურ ასპარეზზე იყო აღიარებული. დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ საქმიანობაში ქალი პოლიტიკოსები აქტიურად ჩაერთვნენ. ამას მოწმობს ქალთა მონაწილეობა თვითმმართველობისა და დამფუძნებელი კრების არჩევნებში.

- ქალები თვითმმართველობის არჩევნებში

სამაზრო თვითმმართველობასთან ერთად, რესპუბლიკის ხელისუფლება საქალაქო თვითმმართველობის შემოღებასაც გეგმავდა. 1918 წლის 17 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა „ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნების დებულება“ დაამტკიცა, რომლის მეორე მუხლის მიხედვით, *„არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს რესპუბლიკის ყოველს მოქალაქეს, განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა, რომელსაც საარჩევნო სიების შედგენის დაწყებამდე შეუსრულდა ოცი წელი და ცხოვრობს ამ ქალაქში, ან აქვს შინაური მოწყობილი მეურნეობა, ან იმყოფება, ან იმყოფება აქ სამსახურში, ან აქვს რაიმე სხვა განსაზღვრული სამუშაო“* (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1990, გვ. 68).

საქალაქო არჩევნები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ძირითადად 1919 წელს ჩატარდა. საარქივო დოკუმენტების სიმწირიდან გამომდინარე, რთულია ზუსტი შეფასება, თუმცა, პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებულ მასალებზე დაყრდნობით, ვეცდებით

აღვადგინოთ სურათი და მკითხველს მეტნაკლები წარმოდგენა შევუქმნათ არჩევნებში ქალთა მონაწილეობის თვალსაზრისით.

თბილისის მაზრის ერობის ხმოსანთა არჩევნებში, ყარაიაზის ოლქში უპარტიო სიით წარმოდგენილი იყო ფარი ხანუმ სოფიევა (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. (1918). #6). ფარი-ხანუმი, სავარაუდოდ, მსოფლიოში პირველი დემოკრატიულ გზით არჩეული მუსლიმი ქალია, რომელმაც 1918 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის თვითმმართველობის არჩევნებში გაიმარჯვა.

თბილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნებში 9 პოლიტიკური სუბიექტი მონაწილეობდა. № 1 – საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, № 2 – საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, № 3 – საქართველოს სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის თბილისის კომიტეტი, № 4 – რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, № 5 – საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია, № 6 – საქართველოს მუსულმანთა ეროვნული საბჭოს, №7 – საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტ მაშვრალთა ფრაქცია, №8 – საქართველოს ეროვნული პარტია, №9 – თბილისის სახლის პატრონთა და მესაკუთრეთა. საერთო ჯამში 333 კანდიდატი მონაწილეობდა, მათგან 13 კი – ქალი. თბილისის საქალაქო საბჭოში არჩეული 90 კანდიდატიდან, 5 ქალი ხმოსანი იყო, ხუთივე სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან.

თბილისის ქალაქის საბჭოს არჩევნებში ქალი კანდიდატები სიაში შემდეგ პოლიტიკურ სუბიექტებს ჰყავდათ:

- №1 – საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია (5 კანდიდატი);
- №2 – საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (2 კანდიდატი);
- №3 – საქართველოს სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის თბილისის კომიტეტი (3 კანდიდატი);
- № 5 – საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია (3 კანდიდატი).

თბილისის ქალაქის საბჭოს არჩევნებში პოლიტიკური სუბიექტების მიერ სიებში წარმოდგენილი ქალები იყვნენ:

- №1 – საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია 90 კანდიდატიან სიაში 5 ქალი შედიოდა

№32 – ტერ-პარსაგოვა-მახვილაძე ელეონორა მიხეილის ასული
№36 – რუსია ნინო ალექსანდრეს ასული
№42 – ფარსუგიანი არშანუმ არკადის ასული
№62 – სოლოღაშვილი ანნა ილიას ასული
№67 – ტოროშელიძე მინადორა ეფრემის ასული

- №2 - საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია 60 კანდიდატიან სიაში 2 ქალით იყო წარმოდგენილი

№28 – ყიფიანისა ნინო ბეჟანის ასული
№35 – ყავრიშვილი ანნა ანტონის ასული

- №3 - საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია 20 კანდიდატიან სიაში 3 ქალით იყო წარმოდგენილი

№8 – ზარიძე სონა გაბრიელის ასული (მკერავ ქალთა პროფესიონალური კავშირის გამგეობის თავმჯდომარე (გაზეთი „შრომა“. (1919).#1).
№11 – ჩხეიძე მარიამ ილიას ასული, პარლამენტის წევრი (გაზეთი „შრომა“. (1919). #1).
№16 – სანიკიძე-გალობეევისა/ვალაბუევისა ოლღა იესეს ასული, გიმნაზიის გამგე (გაზეთი „შრომა“. (1919). #1).

- № 5 - საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია 40 კანდიდატიან სიაში 3 ქალით იყო წარმოდგენილი

№19 – ნაკაშიძე ნინო იოსების ასული, საყმ.ჟურ.„ნაკადული“-ს რედაქტორი (გაზეთი „სახალხო საქმე“. (1919). #449).
№36 – ლორთქიფანიძე ეკატერინე დავითის ასული , მასწავლებელი (გაზეთი „სახალხო საქმე“, (1919). #449).
№37 – ნეიმანი ნინო დავითის ასული, ბუჰალტერი (გაზეთი „სახალხო საქმე“. (1919), #449).

ქუთაისის ქალაქის საბჭოს არჩევნები

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია 60 კანდიდატიდან სიაში 3 ქალით იყო წარმოდგენილი:
№16 – მაჭავარიანი თამარა გიორგის ასული (ქალთა ორკლასიანი გიმნაზიის გამგე, გაზ. „ხალხის მეგობარი“. (1919). #391).
№ 26 – მაჭავარიანის ასული თამარი, მასწავლებელი, საქ. სოც. ფედ. პარტიის საქალ. კომიტეტის წევრი (გაზეთი „ხალხის მეგობარი“ (1919) #391).
№49 – ჟღენტი მარიამ მიხეილის ასული (მასწავლებელი, გაზეთი „ხალხის მეგობარი“. (1919). #391).
საქართველოს სოციალისტ რევოლიუციონერთა პარტიაში 17 კანდიდატიან სიაში 1 ქალით იყო წარმოდგენილი
№ – ნადირაძე ნინა თეოფანეს ასული, მასწავლებელი (გაზეთი „შრომა“. (1919). #46).

გორის ქალაქის საბჭოს არჩევნები

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია 33 კანდიდატიან სიაში 3 ქალით იყო წარმოდგენილი:
№22 – ცხოვრებოვისა დარია ალექსანდრეს ასული
№23 – ცერცვაძისა ალექსანდრა სპირიდონის ასული
№27 – ქერეჭაშვილისა ელენე ალექსის ასული

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია 32 კანდიდატიან სიაში 2 ქალით იყო წარმოდგენილი:
№15 – ლიაძისა ვალენტინა
№18 – ცხოვრებაძე მარიამ
ფოთის ქალაქის საბჭოს არჩევნები
საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია 31 კანდიდატიან სიაში 2 ქალით იყო წარმოდგენილი
№11 – მეგრელიძისა ლიუდმილა იზმაილის ასული

№12 – ქადეიშვილი მარგარიტა ვასილის ასული

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია 30 კანდიდატიან სიაში 1 ქალით იყო წარმოდგენილი:
№16 – კახიძე ელენე სამსონის ასული, გიმნაზიის მასწავლებელი (გაზეთი „სახალხო საქმე“ (1919). #450).

ზესტაფონის ქალაქის საბჭოს არჩევნები
საქართველოს ეროვნული პარტია 6 კანდიდატიან სიაში 1 ქალით იყო წარმოდგენილი:
№3 – იმხნელი (კელენჯერიძისა) ნინო ბესარიონის ასული, მასწავლებელი, ზესტაფონის ქალ-ვაჟთა გიმნაზია (გაზეთი „სალი კლდე“. (1919). #21).

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია 10 კანდიდატიან სიაში 1 ქალით იყო წარმოდგენილი
№7 – ხუნდაძე ელისაბედ (ლიზა)

სამტრედიის ქალაქის საბჭოს არჩევნები
სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია 19 კანდიდატიან სიაში 3 ქალით იყო წარმოდგენილი:
№8 – ქართველიშვილი შუშანიკა ამბაკოს ასული, მასწავლებელი, უმაღლეს ორს დამთავრებული (გაზეთი„ხალხის მეგობარი“. (1919). #356).
№ 9 – შენგელია ლიუბა ზაქარიას ასული (მასწავლებელი, საშუალო განათლებით (გაზეთი„ხალხის მეგობარი“. (1919). #356).
№ 16 – მელქაძე ვერა სპირიდონის ასული, მასწავლებელი (გაზეთი„ხალხის მეგობარი“. (1919). #356).

ბორჯომის ქალაქის საბჭოს არჩევნები
საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია 20 კანდიდატიან სიაში 1 ქალით იყო წარმოდგენილი.
№7 – ნაკაშიძე მარიამ იოსების ასული

ახალციხის ქალაქის საბჭოს არჩევნები
ქართული ეროვნული პარტია 36 კანდიდატიან სიაში 6 ქალით იყო წარმოდგენილი:
№11 – მუსხელიშვილი მარიამ ნიკოლოზის ასული, ხარჯთამკრ. ინსპეკტ. მოხელე (გაზეთი „სალი კლდე“. (1919). #58).
№18 – ალელიშვილისა როზალია გრიგოლის ასული, ქშწკგ. საზ. სამკ.ხაზ. (გაზეთი „სალი კლდე“. (1919). #58).
№27 – ერემაშვილისა ანნა ნიკოლოზის ასული, ქშწკგ. საზ. თავმჯდომარე (გაზეთი „სალი კლდე“. (1919). #58).
№29 – გვარამაძისა თამარ მიხეილის ასული, საქვ. საზ. სარ. გამგეობის წევრი (გაზეთი „სალი კლდე“. (1919). #58).
№30 – ნეივერტისა ქეთევან დიმიტრის ასული, კომისარიატ მოხელე (გაზეთი „სალი კლდე“. (1919). #58).
№35 – დიდიმამიშვილისა სოფიო ივანეს ასული (გაზეთი „სალი კლდე“. (1919). #58).

ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნებში, რომელიც მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარდა, ჩვენს ხელთ არსებულ არქივში დაცული ოქმებისა და პრესის ცნობების მიხედვით, სულ აირჩიეს 10 ქალი. თბილისში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა

პარტიიდან 5 ქალი გახდა დეპუტატი: ელეონორა ტერ-ფარსაგოვა-მახვილაძე, ნინო რუსია, არშანუმ ფარსუგიანი, ანნა სოლოღაშვილი, მინადორა ტოროშელიძე. სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი ქალები გახდნენ დეპუტატები საქართველოს სხვადასხვა ქალაქებშიც: ქუთაისში, სადაც მარიამ ვარდოსანიძე აირჩიეს; გორის შემაჯამებელი ოქმის მიხედვით, 22 მანდატით წარმოდგენილ სოციალ-დემოკრატთა შორის, ერთი ქალი – დარია ცხოვრებოვისაც დეპუტატი უნდა გამხდარიყო. ფოთში სოციალ-დემოკრატთა 22 მანდატიდან, მე-12 ნომრით მარგარიტა ქადიეშვილი, ბორჯომში 12 მანდატიდან სოციალ-დემოკრატთა მე-6 ნომერი მარიამ ნაკაშიძე და სურამში შემაჯამებელ ოქმში ვ. ძაგნიძისაა მოხსენიებული.

- ქალები დამფუძნებელი კრების არჩევნებში

1918 წელს შემუშავებული და დამტკიცებული კანონი – „დებულება დამფუძნებელი კრების არჩევნებისა“ 20 წელს გადაცილებულ ქალებს აძლევდა უფლებას არჩევნებში მონაწილეობა მიეღოთ როგორც ამომრჩევლის, ასევე კანდიდატის სტატუსით. *„დამფუძნებელ კრებას შეადგენენ წევრები, არჩეული მცხოვრებთა მიერ საყოველთაო – განურჩევლათ სქესისა, – თანასწორის, პირდაპირის და ფარული ხმის მიცემით პროპორციული წარმომადგენლობის წესისამებრ“. „დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს რესპუბლიკის ორივე სქესის მოქალაქეს, თუ არჩევნების დღისთვის ოცი წელი შეუსრულდათ“*(საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918-1921, 1990, 84-109).

ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ცენტრალურ საპარლამენტო საარჩევნო კომისიაში სამი მნიშვნელოვანი თანამდებობა არსებობდა: კომისიის თავმჯდომარე, მდივანი და ხაზინადარი. კომისიის მდივნის თანამდებობა ქალს – ანა სოლოღაშვილს ეკავა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების არჩევნებში, 1919 წლის 14-16 თებერვალს, საარჩევნო კომისიის მიერ დამტკიცებულ 15 საკანდიდატო სიაში საერთო ჯამში წარმოდგენილი 600 კანდიდატიდან 26 იყო ქალი.

ქალი კანდიდატები სიაში შემდეგ პოლიტიკურ სუბიექტებს ჰყავდათ:

- №1 – საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია (6 კანდიდატი);
- №3 – საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია (5 კანდიდატი);
- №4 – სომეხთა რევოლუციური პარტია „დაშნაკციუთუნი“ (2 კანდიდატი);
- №5 – საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია (9 კანდიდატი);
- №7 – საქართველოს რადიკალ-დემოკრატიულ გლეხთა პარტია (1 კანდიდატი);
- №9 – საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტ მაშვრალთა პარტია (3 კანდიდატი).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების არჩევნებში პოლიტიკური სუბიექტების მიერ სიებში წარმოდგენილი ქალები იყვნენ:

- №1 - საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია 13-კაციან სიაში 6 ქალი კანდიდატით იყო წარმოდგენილი

№36 – ელეონორა ტერ-ფარსაგოვა-მახვილაძისა

№61 –მინადორა ტოროშელიძე

№72 – ქრისტინე შარაშიძე

№79 - ელისაბედ ბოლქვაძე

№110 – ანნა (ოლღა) სოლოღაშვილი

№126 – მარიამ ბერიანიძე

- №3 - საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია 73-კაციან სიაში 5 ქალი კანდიდატით იყო წარმოდგენილი

№31 – მარიამ ჩხეიძე

№49 –ნინო მაჩაბელი-ანდრონიკაშვილისა

№51– ოლღა სანიკიძე-ვალაბუევისა

№54 – სოფიო ზარიძე

№68 – ნინა ნადირაძე

- №4 - სომეხთა რევოლუციური პარტია – „დაშნაკცუთიუნი“ 19-კაციან სიაში 2 ქალი კანდიდატით იყო წარმოდგენილი

№11 – დარია თადეოსიანი

№19 – სირანუშ ამირბეგიანი

- №5 - საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია 120-კაციან სიაში 9 ქალი კანდიდატით იყო წარმოდგენილი

№26 – ნინო ნაკაშიძე

№37 – მელანია გველესიანი

№41 – ალექსანდრა ბერეკაშვილი-სანიკიძისა

№43 – თამარ ფალავანდიშვილი

№46 – ელენე იმნაძე

№56 – თამარ მაჭავარიანი

№65 – აგრაფინა ბახტაძე

№78 – ლიუბა ჩხენკელი

№107 – ანნა იურკევიჩი

- №7 - საქართველოს რადიკალ-დემოკრატიულ გლეხთა პარტია 50-კაციან სიაში 1 ქალი კანდიდატით იყო წარმოდგენილი

№24 – ნადეჟდა შალამბერიძე

- №9 – მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტ მაშვრალთა პარტია 38-კაციან სიაში 3 ქალი კანდიდატით იყო წარმოდგენილი

№20 – ნინო დგებუაძე

№28 – შუშანიკა ქავთარაძე

№34 – ნადეჟდა ჩიკვაიძე

26 წარდგენილი ქალი კანდიდატიდან, დამფუძნებელი კრების წევრი ხუთი ქალი გახდა – ელისაბედ ნაკაშიძე-ბოლქვაძე, ქრისტინე შარაშიძე, ელეონორა ტერ-ფარსაგოვა მახვილაძე, მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძისა და ანა-ოლღა სოლოღაშვილი. აღსანიშნავია, რომ იმ დროისათვის, წარმომადგენლობით ორგანოებში ქალები ევროპის სულ რამდენიმე ქვეყანაში იყვნენ. დღევანდელი გადასახედიდან, ეს ყველაფერი მაშინდელი საზოგადოების პროგრესზე, ორივე სქესის თანაბარუფლებიანობასა და პოლიტიკურ კულტურაზე მეტყველებს. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ევროპის ბევრ ქვეყანაში ქალებმა ხმის მიცემის უფლება, საკმაოდ რთული გზის გავლით, რამდენიმე წლის დაგვიანებით მოიპოვეს. მაგალითად, ინგლისში 1928 წელს, ესპანეთში – 1933 წელს, საფრანგეთში – 1944 წელს, იტალიაში – 1946 წელს და შვეიცარიაში – 1971 წელს.

დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიულ ჩანაწერებსა და მთავრობის სხდომის ოქმებში კარგად ჩანს, როგორი აქტიურები იყვნენ საკანონმდებლო ორგანოს წევრი ქალები. პრესაში მრავლად იბეჭდებოდა მათი ინიციატივები და დისკუსიები განათლების, შრომის, ჯანმრთელობისა და სხვა საკონსტიტუციო წინადადებებზე. სამწუხაროდ, საბჭოთა რეპრესიებმა ორი მათგანის – ანა (ოლღა) სოლოღაშვილისა და ელისაბედ ბოლქვაძე-ნაკაშიძის სიცოცხლე შეიწირა, დანარჩენების არქივები კი გაანადგურა და დღეს მათი საქმიანობის ამსახველი მასალა ძალიან მწირია.

ქართველ ქალთათვის სრული საარჩევნო ხმის უფლების მინიჭება და მათი საკანონმდებლო სივრცეში აქტიური წარმომადგენლობა ევროპული პრესის მკითხველისთვის ცნობილი საკითხი იყო და მათ გაოცებასაც იწვევდა.

აღსანიშნავია საქართველოში 1920 წელს ევროპის სოციალისტური დელეგაციის ვიზიტი, რომლის შემადგენლობაში ბრიტანელი ფემინისტი ეთილ ანკანი-სნოუდენიც შედიოდა. ქალბატონი ეთილი ორი კვირის განმავლობაში მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა დაბა-ქალაქში, სიტყვაც წარმოთქვა გამართულ მიტინგებზე ტყიბულში, თელავში, გურჯაანსა და თბილისში. ერთ-ერთ აქციაზე კი განსაკუთრებული გულისტკივილით აღნიშნა ინგლისელ ქალთა ხვედრის შესახებ:

„მე პირველი ვლაპარაკობ ამ ტრიბუნიდან, ვინაიდან ეს დამავალა მთელმა დელეგაციამ და ამისი მიზეზია გუშინდელი თქვენი შეხვედრა, როცა დროშებით პირველად მოგვესალმა ქალთა ორგანიზაცია. ჩვენ ფრიად გვახარებს ის როლი, რომელსაც თამაშობენ ქალები საქართველოში. სამწუხაროდ, იქ, ჩვენთან, ჯერ ეს არ არის. თქვენთან ქალი გათანასწორებულია მამაკაცთან. ეს არის თავდები მომავალში ერისა და მისი მოწინავე კლასის, მუშათა, დემოკრატიის განვითარებისა“ (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. (1920). #215.).

სამშობლოში დაბრუნების შემდგომ, ეთილ სნოუდენმა გაზეთში „მანჩესტერ გარდიანი“, გამოაქვეყნა შთაბეჭდილებები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პროგრესულობის შესახებ. სნოუდენი დადებითად აფასებს საქართველოს სოციალური

მთავრობის მუშაობას და ქვეყანაში გატარებულ რეფორმებს, მათ შორის, ქალთა მონაწილეობის საკითხს. აღსანიშნავი დეტალია ისიც, რომ ეთილ ანკანი მეუღლის გვარით ბეჭდავდა სტატიებს იმ დროის ბრიტანულ პრესაში, რაც 1920 წლის ბრიტანეთში ჯერ კიდევ ქალთა საკითხის სისუსტეზე მიანიშნებდა.

„ტფილისის ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება“, ,,წმინდა ნინოს ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება“, „მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა ურთიერთდახმარების ტფილისის საზოგადოება“, „სომეხ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება“, „თელავის ქალთა ერთობა“, „ხონის ქალთა წრე“ წითელ ჯვართან არსებული ქალთა კომიტეტები, „ინტელიგენტ ქალთა ჯგუფის სამკერვალო“, „ქართველ ბებია ქალთა ჯგუფი“, „ქალთა შრომის რაზმი“, „დედობისა და ბავშვების დამცველი საზოგადოება“ – ეს იმ ორგანიზაციების არასრული ჩამონათვალია, რომლებიც მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ქართველმა ქალებმა შექმნეს. მათ შორის იყო ქუთაისის ქალთა არაფორმალური გაერთიანება – ქალთა კლუბი. სწორედ მათი აქტიურობითა და თაოსნობით დაარსდა გაზეთი ,,ხმა ქართველი ქალისა'', რომელიც ქალთა საკითხებს ფართოდ აშუქებდა და საკმაოდ მწვავედ ეხმიანებოდა მსოფლიოში არსებულ ქალთა ვითარებას.

და ბოლოს, თბილისის უნივერსიტეტთან, სტუდენტობასთან, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, მის ოკუპაციასთან ასოცირდება კიდევ ერთი ქალის, ეროვნული გმირის – მარიამ, მარო მაყაშვილის სახელი.

1921 წლის თებერვალში, საქართველოში მე-11 წითელი არმიის შემოჭრის დღეებში, 19 წლის სტუდენტი მარო მაყაშვილი მოხალისედ წავიდა ფრონტზე, წითელ ჯვარში ჩაეწერა მოწყალების დად და კოჯრისკენ მიმავალ სანიტარულ რაზმს შეუერთდა. იგი ბრძოლების დროს, კეფაში ყუმბარის ნამსხვრევის მოხვედრის შედეგად დაიღუპა. მაროს გარდაცვალება ცეცხლივით მოედო იმდროინდელ საქართველოს, სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პირველი მსხვერპლი – ქალის დაღუპვა მძიმედ განიცადა ქართველმა საზოგადოებრიობამ. მისი სიკვდილი სიმბოლოა ახალგაზრდა რესპუბლიკის განადგურებისა.

მარო მაყაშვილი პირველი ქართველი ქალია, რომელსაც ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა.

დასკვნები

საქართველოს დემოკრატიული რესუბლიკამ, არსებობის მცირე დროის მიუხედავად, განხორციელებული რეფორმებითა და დემოკრატიული აღმშენებლობით საერთაშორისო საზოგადოების ყურადღებაც მიიპყრო.

საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო მსოფლიოში, რომელმაც ქალთა უფლებები საკანონმდებლო დონეზე ასახა და არჩევნებზე ორივე სქესის წარმომადგენლებს თანაბარი უფლებები მიანიჭა.

ქვეყანაში ჩატარდა ორი მნიშვნელოვანი არჩევნები: თვითმართველობისა და დამფუძნებელი კრების. მცირე დარღვევების მიუხედავად, ყველა პოლიტიკურმა სუბიექტმა აღიარა შედეგი. თავად მოვლენა კი გამორჩეული იყო იმ პერიოდის მსოფლიოში, რადგან ქალებისათვის ხმის მიცემა, არათუ არჩევნებში კანდიდატის სტატუსით მონაწილეობა, ჯერ კიდევ მიუღწეველ ოცნებად რჩებოდა.

პოლიტიკურ ცხოვრებაში რაოდენობრივი თვალსაზრისით არ მონაწილეობდა ბევრი ქალი. თუმცა, თითოეული მათგანის ჩართულობა არ იყო ფორმალური, გვხვდება მათი არაერთი საკანონმდებლო ინიციატივა, მონაწილეობდნენ დისკუსიაში და მამაკაცთა თანასწორად მუშაობდნენ ქვეყნის ევროპულ ორბიტაზე დასაყენებლად.

გარდა პოლიტიკური პროცესებისა, თითქმის ყველა სფეროში აქტიურობდნენ ქალები, ხსნიდნენ სამკითხველოებს, აარსებდნენ სხვადასხვა საზოგადოებებს და ცდილობდნენ თავიანთი საქმიანობა განათლებაზე დაეფუძნებინათ, რადგან უკეთესი მომავლის შექმნის ფუნდამენტად სწორედ საგანმანათლებლო რეფორმა ესახებოდათ.

საქართველოში ჩამოსული სტუმრები, პოლიტიკოსები თუ მოგზაურები ერთხმად აღნიშნავდნენ ქვეყნის დემოკრატიულობას, ინტერესით ადევნებდნენ თვალს პირველ სოციალისტურ ქვეყანას ევროპაში.

სამწუხაროდ, დამოუკიდებლობა დიდხანს ვერ გაგრძელდა, რადგან საბჭოთა რუსეთმა მოახერხა დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია. უამრავი ადამიანი, მათ შორის ქალი, აქტიურად ჩაერთო საქართველოს განთავისუფლებისათვის იატაკქვეშა ბრძოლაში, რომელთა ნაწილი საბჭოთა რეპრესიებმა შეიწირა.

დღეს თანამედროვე სახელმწიფო მნიშვნელოვანია დაეყრდნოს წარსულ გამოცდილებას, სადაც გათვალისწინებული იქნება, მათ შორის ქალთა საკანონმდებლო ცხოვრებაში მონაწილეობა.

გამოყენებული ლიტერატურა

ბაბუნაშვილი, ზ., ნოზაძე, თ. (1994). *მამულიშვილთა სავანე.* თბილისი: გამომცემლობა „ირმისა“.

დაკარგული ისტორია - მეხსიერება რეპრესირებული ქალების შესახებ. (2012). თბილისი: გამომცემლობა “SOVLAB“.

ირემაძე, ი., ჭანტურიძე, ს. (2018). *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) კულტურის ქრონიკები.* თბილისი: გამომცემლობა „თსუ“.

ირემაძე, ი., ჭანტურიძე, ს. (2017). *პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში.* თბილისი: გამომცემლობა „თსუ“.

ირემაძე, ი., ჭანტურიძე, ს. (2019). *ადგილობრივ თვითმმართველობათა არჩევნები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.).* თბილისი: გამომცემლობა „თსუ“.

რამიშვილი, ი. (2012). *მოგონებანი.* თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“.

კაშმაძე, შ. (1941). *ვანო სარაჯიშვილი.* თბილისი: გამომცემლობა „ხელოვნება“.

კირთაძე, ნ. (1998). *კაენ სად არის ძმა შენი?!.* თბილისი: გამომცემლობა „მერანი“.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) ენციკლოპედია-ლექსიკონი. (2018). თბილისი: გამომცემლობა „თსუ“.

სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, წიგნი II. (1955). თბილისი: სამეცნიერო მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918-1921. (1990). თბილისი: გამომცემლობა „ივერთა მხარე“.

ქალები და ქალთა საკითხები საქართველოს დემოკრატიულ რეპუბლიკაში 1918-1921. (2018). სამეცნიერო რედაქტორი ლ. გაფრინდაშვილი. თბილისი: გამომცემლობა „შპს კოლორადო გრუპი“.

შარაძე, გ. *უცხოეთის ცის ქვეშ.* წიგნი III. *(1993).* თბილისი: გამომცემოლობა „მერანი“.

ჭანტურიძე, ს. (2020). *ქალები გასული საუკუნიდან.* თბილისი.

ხვადაგიანი, ი. (2016). *საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919.* თბილისი: გამომცემლობა “SOVLAB“.

პერიოდული პრესა

გაზეთი *„ერთობა“.* (1919). # 18, #24, თბილისი

გაზეთი *„საქართველო“.* (1921). #17, თბილისი

გაზეთი *„სალი კლდე“.* (1919). #21, #58, თბილისი

გაზეთი *„საქართველოს რესპუბლიკა“.* (1918). #6, თბილისი

გაზეთი *„საქართველოს რესპუბლიკა“.* (1919). #20, თბილისი

გაზეთი *„საქართველოს რესპუბლიკა“.* (1921). #215, თბილისი

გაზეთი *„სახალხო საქმე“.* (1919). #450, #446,#449 თბილისი

გაზეთი *„შრომა“.* (1919). #1, #46, თბილისი

გაზეთი *„ხალხის მეგობარი“.* (1919). #356, 396, თბილისი

გაზეთი *„ხმა ქართველი ქალისა“.* (1917-1918). თბილისი

REFERENCES

babunashvili, z., nozadze, t. (1994). *mamulishvilta savane [“Mamulishvilta Savane”].* Tbilisi: "Irmisa" publishing house.

dak'arguli ist'oria - mekhsiereba rep'resirebuli kalebis shesakheb [Lost history - memory of repressed women]. (2012). Tbilisi: "SOVLAB" publishing house.

iremadze, i., ch'ant'uridze, s. (2018). *sakartvelos demok'rat'iuli resp'ublik'is (1918-1921 ts'ts'.) k'ult'uris kronik'ebi [Chronicles of the culture of the Democratic Republic of Georgia (1918-1921)].* Tbilisi: "TSU" publishing house.

iremadze, i., ch'ant'uridze, s. (2017). *p'irveli saqoveltao demok'rat'iuli archevnebi damouk'idebel sakartveloshi [The first general democratic elections in independent Georgia].* Tbilisi: "TSU" publishing house.

iremadze, i., ch'ant'uridze, s. (2019*). adgilobriv tvitmmartvelobata archevnebi sakartvelos demok'rat'iul resp'ublik'ashi (1918-1921 ts'ts'.)* [*Elections of local-government bodies in the Democratic Republic of Georgia, (1918-1921)].* Tbilisi: "TSU" publishing house.

ramishvili, i. (2012). *Mogonebani [A memory].* Tbilisi: "Artanuji" publishing house.

k'ashmadze, sh. (1941). *vano sarajishvili [Vano Sarajishvili].* Tbilisi: Publishing House "Khelovneba".

k'irtadze, n. (1998). *k'aen sad aris dzma sheni?! [Cain, where is your brother?!].* Tbilisi: "Merani" publishing house.

sakartvelos demok'rat'iuli resp'ublik'is (1918-1921 ts'ts'.) entsik'lop'edia-leksik'oni [Encyclopedia-lexicon of the Democratic Republic of Georgia (1918-1921)]. (2018). Tbilisi: Publishing House "TSU".

sakhalkho ganatlebis kartveli moghvats'eebi da sakhalkho masts'avleblebi, ts'igni II [Georgian figures of public education and public teachers]. (1955). Tbilisi: Scientific Methodical Cabinet Publishing House.

sakartvelos demok'rat'iuli resp'ublik'is samartlebrivi akt'ebis k'rebuli 1918-1921 [Collection of legal acts of the Democratic Republic of Georgia 1918-1921]. (1990). Tbilisi: Publishing House "Iverta Tshera".

kalebi da kalta sak'itkhebi sakartvelos demok'rat'iul rep'ublik'ashi 1918-1921 [Women and women's issues in the Democratic Republic of Georgia 1918-1921]. (2018). Scientific editor L. Gaprindashvili. Tbilisi: "Colorado Group LLC" publishing house.

sharadze, g. utskhoetis tsis kvesh [Under foreign skies]. Book III. (1993). Tbilisi: “Merani“ publishing house.

ch'ant'uridze, s. (2020). *kalebi gasuli sauk'unidan [Women from the last century].* Tbilisi.

khvadagiani, i. (2016). *sakartvelos dampudznebeli k'reba 1919 [Founding Assembly of Georgia 1919].* Tbilisi: "SOVLAB" publishing house.

Periodical press

gazeti *„ertoba“.* (1919). # 18, #24, [Newspaper *“Ertoba“.* (1919). # 18, # 24]. Tbilisi.

gazeti *„sakartvelo“.* (1921). #17, [Newspaper *“Sakartvelo“.* (1921). #17]. Tbilisi.

gazeti *„sali k'lde“.* (1919). #21, #58, [*Newspaper “Saly Klede“.* (1919). #21, #58]. Tbilisi.

gazeti *„sakartvelos resp'ublik'a“.* (1918). #6, [Newspaper *“Sakartvelos Respublika“.* (1918). #6]. Tbilisi.

gazeti *„sakartvelos resp'ublik'a“.* (1919). #20, [Newspaper *“Sakartvelos Respublika“.* (1919). #20]. Tbilisi.

gazeti *„sakartvelos resp'ublik'a“.* (1921). #215, [Newspaper *“Sakartvelos Respublika“.* (1921). #215]. Tbilisi.

gazeti *„sakhalkho sakme“.* (1919). #450, #446,#449 [Newspaper *“Sakhalkho Sakme“.* (1919). #450, #446, #449]. Tbilisi.

gazeti „*shroma“.* (1919). #1, #46, [*Newspaper “Shroma“.* (1919). #1, #46]. Tbilisi.

gazeti *„khalkhis megobari“.* (1919). #356, 396, [Newspaper *“Khalkhis Megobari“* (1919). #356, 396]. Tbilisi.

gazeti „*khma kartveli kalisa“.* (1917-1918). [Newspaper *“Khma Kartveli Kalisa“* (1917-1918)]. Tbilisi.

მადლიერება

სტატიის ავტორი მადლობას უხდის პროექტის „საქართველოს პირველი რესპუბლიკა“ (FR – 21- 13590) სამეცნიერო ჯგუფს (დიმიტრი შველიძე, ბონდო კუპატაძე, მიხეილ ბახტაძე, ირაკლი ირემაძე) და პროფესორ ოთარ ჯანელიძეს, რომელთა დახმარებითაც მომზადდა აღნიშნული კვლევა.